

ნარკოტიკულ საშუალებებთან დაკავშირებული საქმეები განიხილება როგორც სისხლის სამართლის, ისე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის საფუძველზე. ეს გამოცემა საშუალებას მოგცემთ გაერკვეთ, რომელი ქმედება იწვევს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას და რომელი – ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას.

<span></span>	<b>რა შემთხვევაშია ნარკოტიკებთან დაკავშირებული საქმე ადმინისტრაციული სამართალდარღვევა?</b>	<span></span>
---------------	--	---------------

**ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას** წარმოადგენს ნარკოტიკული საშუალებების **მცირე ოდენობით** უკანონო შექენა ან შენახვა **გასალების მიზნის გარეშე'**, აგრეთვე მათი **ხმარება ექიმის დანიშნულების გარეშე**. ამ შემთხვევაში, პირი შეიძლება დაჯარიმდეს:

- შრომის ანაზღაურების **ორმოცდაათიდან ას მინიმალურ ოდენობამდე**;
- გამასწორებელი სამუშაოებით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს **ოცდაათ დღეს**;
- ხელფასიდან ოცი პროცენტის დაქვითვით.

<span></span>	<b>რა შემთხვევაში გამოიყენება ადმინისტრაციული პატიმრობა და რა მაქსიმალური ვადით?</b>	<span></span>
---------------	--	---------------

გამონაკლის შემთხვევებში, თუ საქმის გარემოებათა მიხედვით და დამრღვევის პიროვნების გათვალისწინებით, ამ ზომების გამოყენება ჩაითვლება არასაკმარისად, გათვალისწინებულია **ადმინისტრაციული პატიმრობა თხუთმეტ დღემდე ვადით**. ადმინისტრაციული პატიმრობა შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ მოსამართლის გადანყევტილებით.

<span></span>	<b>რა ზომები გამოიყენება პირის მიმართ იმ შემთხვევაში, თუ ის ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშ იქნება დაკავებული?</b>	<span></span>
---------------	--	---------------

თუ პირი დაკავებული იქნება ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშ, ან/და მას აღმოაჩნდება ნარკოტიკული საშუალებების **მცირე ოდენობა, ან/და ასეთი ოდენობით** უკანონოდ შეიძენს ან/და შეინახავს **გასალების მიზნის გარეშე** (მცირე ოდენობის განსაზღვრება იხილეთ თანდართულ ცხრილში), მის მიმართ შეიძლება გამოიტანონ მხოლოდ **ადმინისტრაციული სახდელი**, ზემოთ აღნიშნული სახეებით.

<span></span>	<b>რა გარემოებები იწვევს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან განთავისუფლებას?</b>	<span></span>
---------------	---	---------------

ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება ზემოაღნიშნული ქმედებების ჩამდენი პირი, რომელიც ნებაყოფლობით ჩააბარებს ნარკოტიკულ საშუალებას, რაც მას აქვს მცირე ოდენობით და რომელიც შეიძინა ან რასაც ინახავდა გასალების მიზნის გარეშე, აგრეთვე რომელმაც ნებაყოფლობით მიმართა სამედიცინო დაწესებულებას ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკულ საშუალებათა ხმარებასთან დაკავშირებით სამედიცინო დახმარების გასაწევად.

<span></span>	<b>ეკისრება თუ არა პირს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამეორების შემთხვევაში?</b>	<span></span>
---------------	---	---------------

ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ ისეთი ქმედებებისთვის გამეორებისთვის, როგორიცაა პირადი მოხმარებისათვის ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის მცირე ოდენობით უკანონო დამზადება, შექენა, შენახვა ანდა ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება, გამოიწვევს **ჯარიმას ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას ას ოციდან ას ოთხმოც საათამდე ვადით, ტუსალობას სამ თვემდე ვადით, ანდა თავისუფლების აღკვეთას ერთ წლამდე ვადით**.

<span></span>	<b>რა შემთხვევაშია ნარკოტიკებთან დაკავშირებული საქმე სისხლის სამართლის დანაშაული?</b>	<span></span>
---------------	---	---------------

სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, **სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას** იწვევს შემდეგი მოქმედებები, რომელთაგან თითოეულისთვის  გათვალისწინებულია შესაბამისი სასჯელი:

<span></span>	<b>ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადება, წარმოება, შექენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასალება. ამგვარი ქმედებები ისჯება თავისუფლების აღკვეთით <i>ათ წლამდე ვადით</i>.</b>	<span></span>
---------------	---	---------------

<span></span>	<b>როდესაც საქმე გვაქვს  დიდი ოდენობის ნარკოტიკულ საშუალებებთან, ანდა მსგავსი დანაშაულის ჩადენა ხდება წინასწარი შეთანხმებით გარკვეული ჯგუფის მიერ, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, მრავალჯერადად, ან იმ პირის მიერ, ვისაც ადრეც აქვს ჩადენილი ასეთი ქმედება, გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა <i>ექვსიდან თორმეტ წლამდე ვადით</i>.</b>	<span></span>
---------------	---	---------------

<span></span>	<b>ფსიქოტროპული ნივთიერების ან მისი ანალოგის უკანონო დამზადება, წარმოება, შექენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასალება. ამგვარი ქმედებებისთვის გათვალსიწინებულია <i>ჯარიმა ან გამასწორებელი სამუშაოები ორ წლამდე ვადით, ანდა თავისუფლების აღკვეთა სამ წლამდე ვადით</i>.</b>	<span></span>
---------------	---	---------------

<span></span>	<b>ძლიერმოქმედი ნივთიერების უკანონო დამზადება, წარმოება, შექენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასალება. ამგვარი ქმედებებისთვის გათვალსიწინებულია <i>ჯარიმა ან გამასწორებელი სამუშაოები ერთ წლამდე ვადით</i>.</b>	<span></span>
---------------	---	---------------

<span></span>	<b>საქართველოში ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონოდ შემოტანა, საქართველოდან უკანონოდ გატანა ან ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვა ისჯება <i>თავისუფლების აღკვეთით ხუთიდან ათ წლამდე ვადით</i>.</b>	<span></span>
---------------	--	---------------

<span></span>	<b>საქართველოში ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების დიდი ოდენობით უკანონოდ შემოტანა, საქართველოდან უკანონოდ გატანა ან ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვა ისჯება <i>თავისუფლების აღკვეთით ორიდან ხუთ წლამდე ვადით</i>.</b>	<span></span>
---------------	---	---------------

<span></span>	<b>ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის, ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება ან გამოძალვა. ამგვარი ქმედებებისთვის გათვალისწინებულია <i>ჯარიმა ან გამასწორებელი სამუშაოები ორ წლამდე ვადით, ანდა თავისუფლების აღკვეთა ოთხ წლამდე ვადით</i>.</b>	<span></span>
---------------	---	---------------

<span></span>	<b>ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვა, მოყვანა ან კულტივირება. მსგავსი დანაშაულისთვის გათვალსიწინებულია <i>ჯარიმა ან თავისუფლების აღკვეთა ხუთ წლამდე ვადით</i>.</b>	<span></span>
---------------	---	---------------

<span></span>	<b>ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის, ფსიქოტროპული ნივთიერების ან მისი ანალოგის უკანონო წარმოებისათვის ფარული ლაბორატორიის მოწყობა ან შენახვა ისჯება <i>გამასწორებელი სამუშაოთი ორ წლამდე ვადით, ან თავისუფლების აღკვეთით სამ წლამდე ვადით</i>.</b>	<span></span>
---------------	--	---------------

<span></span>	<b>ნარკოტიკული საშუალების შესაძენად ყალბი რეცეპტის ან სხვა დოკუმენტის დამზადება გასალების მიზნით, ან გასალება. ამგვარი ქმედებისთვის გათვალისწინებულია <i>ჯარიმა ან გამასწორებელი სამუშაოები ორ წლამდე ვადით, ანდა თავისუფლების აღკვეთა სამ წლამდე ვადით</i>.</b>	<span></span>
---------------	--	---------------

<span></span>	<b>ფსიქოტროპული ან ძლიერმოქმედი ნივთიერების შესაძენად ყალბი რეცეპტის ან სხვა დოკუმენტის დამზადება გასალების მიზნით, ან გასალება. ამგვარი ქმედებისთვის გათვალისწინებულია <i>ჯარიმა ან გამასწორებელი სამუშაოები ერთ წლამდე ვადით</i>.</b>	<span></span>
---------------	---	---------------

<span></span>	<b>ნარკოტიკული საშუალების ან პრეკურსორის დამზადების, წარმოების, მიღების, აღრიცხვის, გაცემის, შენახვის, გადაზიდვის, გადაგზავნის ან შემოტანის წესის დარღვევა, რამაც მისი უკანონო ბრუნვაში მოქცევა გამოიწვია. ამგვარი ქმედებისთვის გათვალისწინებულია <i>ჯარიმა ან თავისუფლების აღკვეთა სამ წლამდე ვადით, ასევე თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა სამ წლამდე ვადით, ან ამის გარეშე</i>.</b>	<span></span>
---------------	--	---------------

<span></span>	<b>ფსიქოტროპული ან ძლიერმოქმედი ნივთიერების დამზადების, წარმოების, მიღების, აღრიცხვის, გაცემის, შენახვის, გადაზიდვის, გადაგზავნის ან შემოტანის წესის დარღვევა, რამაც მისი უკანონო ბრუნვაში მოქცევა გამოიწვია. ამგვარი ქმედებისთვის გათვალისწინებულია <i>ჯარიმა ან გამასწორებელი სამუშაოები ერთ წლამდე ვადით, ასევე თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, ან ამის გარეშე</i>.</b>	<span></span>
---------------	--	---------------

<span></span>	<b>ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის უკანონოდ მოხმარებისათვის ბინის ან სხვა სადგომის დათმობა. ამგვარი ქმედებისთვის გათვალისწინებულია <i>ჯარიმა ან თავისუფლების აღკვეთა სამ წლამდე ვადით</i>.</b>	<span></span>
---------------	---	---------------

<span></span>	<b>ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის მოხმარებაზე დაყოლიება. ამგვარი ქმედებისთვის გათვალისწინებულია <i>ჯარიმა ან თავისუფლების აღკვეთა სამ წლამდე ვადით</i>.</b>	<span></span>
---------------	---	---------------

<sup>[1]</sup> გასალების განზრახვა უნდა იქნას დასაბუთებული კანონით განსაზღვრული წესების დაცვით მიღებული მტკიცებულებებით, როგორიცაა მავ, მონშეთა არსებობა, კანონის შესაბამისი ოპერატიული მუშაობის შედეგად მიღებული ინფორმაცია, გამოძიების მასალები და ა.შ. ყველა ზემოაღნიშნული გარემოება ექვემდებარება სასამართლო პროცესზე შემოწმებასა და დასაბუთებულად მიიჩნევა მხოლოდ კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენით

სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობისგან თავისუფლდება პირი, ვინც ნებაყოფლობით ჩააბარებს ნარკოტიკულ საშუალებას, მის ანალოგს, პრეკურსორს, ფსიქოტროპულ ნივთიერებას, მის ანალოგს ან ძლიერმოქმედ ნივთიერებას.

**შესაძლებელია თუ არა პირს დაეკისროს იძულებითი მკურნალობა?**

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს ნარკომანის სპეციალიზებულ ნარკოლოგიურ სამედიცინო-პროფილაქტიკურ დაწესებულებაში მოთავსებას. ამისათვის აუცილებელია მოსამართლის შესაბამისი დადგენილება. თუ ასეთი დადგენილება არ არსებობს, პირის სამედიცინო-პროფილაქტიკურ დაწესებულებაში იძულებით მკურნალობა დაუშვებელია.

იმ შემთხვევაში, თუ პირი მუდმივად თავს არიდებს იძულებით მკურნალობას, მის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნას თავისუფლების აღკვეთის ღონისძიება ერთ წლამდე ვადით.

სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გაგრძელება, შეცვლა ან შეწყვეტა ხდება სასამართლოს მიერ მკურნალობის განმახორციელებელი დაწესებულების ადმინისტრაციის წარდგინებით, ექიმ-ფსიქიატრთა კომისიის დასკვნის საფუძველზე.

**ნარკოტიკულ საშუალებათა მცირე, დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობები**

განსაზღვრულია საქართველოს ჯანმრთელობის დაცვისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროების 1997 წლის 5 მაისის №151/ო-399 ბრძანებით „არაკანონიერ მფლობელობაში ან ბრუნვაში აღმოჩენილ ნარკოტიკულ საშუალებათა მცირე, დიდ და განსაკუთრებით დიდ ოდენობათა განსაზღვრის შესახებ დასკვნის დამტკიცების თაობაზე“.

**ქვემოთ მოყვანილ ცხრილში თქვენ საშუალება გაქვთ გაეცნოთ საქართველოში გავრცელებულ ზოგიერთ ნარკოტიკულ ნივთიერებასთან დაკავშირებულ მონაცემებს:**

ნარკოტიკული საშუალების დასახელება	მცირე ოდენობა	დიდი ოდენობა	განსაკ. დიდი ოდენობა
<b>პოკაინი</b> <small>(ფუჭ და შარილი)</small>	0.02 გრ.	1 გრ.	10 გრ.
<b>პოლანი</b> <small>(ფუჭ და შარილი)</small>	0.2 გრ. <small>(0.015 გრ-ნი 14 აბი)</small>	10 გრ. <small>(0.015 გრ-ნი 700 აბი)</small>	100 გრ. <small>(0.015 გრ-ნი 7000 აბი)</small>
<b>მორფინი</b>	0.03 გრ. <small>(1%-ნი 3 აბულა)</small>	2.5 გრ. <small>(1%-ნი 250 აბულა)</small>	25 გრ. <small>(1%-ნი 2500 აბულა)</small>
<b>მეტაფონი</b> <small>მშრალ ნივთიერებაზე გადათვლილი</small>	0.02 გრ.	1.6 გრ.	16 გრ.
<b>ოპიუმი</b> <small>(მთ შორის სამედიცინო)</small>	0.5 გრ. <small>(0.01 გრ-ნი 50 აბი)</small>	50 გრ. <small>(0.01 გრ-ნი 5000 აბი)</small>	500 გრ. <small>(0.01 გრ-ნი 50000 აბი)</small>
<b>ეფედრინი</b>	0.03 გრ.	3 გრ.	30 გრ.
<b>მარისუანა</b> <small>(წებისმიერი ზერხით გამომშრალი)</small>	5 გრ.	500 გრ.	5000 გრ.
<b>ტრაპალი</b>	1 გრ. <small>(0.05 გრ-ნი 20 აბი)</small>	80 გრ. <small>(0.05 გრ-ნი 1600 აბი)</small>	800 გრ. <small>(0.05 გრ-ნი 16000 აბი)</small>
<b>ყაყაჩოს ნამჟა გამომშრალი</b> <small>(წებისმიერი ზერხით)</small>	10 გრ. <small>წელი 50 გრ.</small>	1 კგ. <small>წელი 5 კგ.</small>	10 კგ. <small>წელი 50 კგ.</small>
<b>ყაყაჩოს ნამჟისაგან ნახარშის სახით დამზადებული კუსტარული პრეპარატები</b>	1 მლ.	100 მლ.	1000 მლ.
<b>ჰაშიში, ანაჰა</b>	1 გრ.	100 გრ.	1 კგ.
<b>პერონი</b>	0.015 გრ.	1 გრ.	10 გრ.

მომზადებულია  
სამართლებრივი განათლების ასოციაციის  
მიერ

თბილისი, ინგოროვას ქუჩა 14  
ტელ.: 995 32 93 58 41, 92 29 14; ფაქსი: 995 32 92 05 96  
ელ-ფოსტა: alpeonline@gol.ge